საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ალექსანდრე კობაიძის* **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	13	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	13	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	20
პროფესიული თვისებები	13	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	9	10
პროფესიული აქტივობა	4	5
ქულათა ჯამი	67	100

სახელი, გვარი: ვასილ მშვენიერაძე

თარიღი : 29.04.2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ვასილ მშვენიერაძე

2024 წლის 29 აპრილი, ქალაქი თბილისი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - „საბჭო“) 2024 წლის 24 იანვრის №1/4 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - ალექსანდრე კობაიძის

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. პროცედურის შესახებ:

1.1. „საბჭოს“ 2024 წლის 24 იანვრის №1/4 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე (3 ვაკანსიაზე) ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის პროცედურა.

1.2. „საბჭოს“ 2024 წლის 22 თებერვლის №1/10 განკარგულებით, მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა **ალექსანდრე კობაიძე** (შემდგომში - „კანდიდატი“).

1.3. „საბჭოს“ შესაბამისმა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია „კანდიდატის“ შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

1.4. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, „საბჭომ“ ჩაატარა „კანდიდატის“ საჯარო მოსმენა.

1.5. საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, „კანდიდატი“, როგორც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის

კანდიდატი, შევაფასე - „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 და მე-16 პუნქტების შესაბამისად.

კეთილსინდისიერების კრიტერიუმით მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტით.

კომპეტენტურობის კრიტერიუმით სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატი ფასდება ქულებით, 35[1]-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად:

„ა“ სამართლის ნორმების ცოდნა;

„ბ“ სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;

„გ“ წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარები;

„ვ“ პროფესიული თვისებები;

„თ“ აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;

„ი“ პროფესიული აქტივობა.

აღნიშნული მახასიათებლების მნიშვნელობიდან გამომდინარე, თითოეული ამ მახასიათებლის მიხედვით მოსაპოვებელ ქულათა მაქსიმალური რაოდენობები ერთმანეთისგან განსხვავდება და შემდეგნაირად განისაზღვრება:

„ა“ სამართლის ნორმების ცოდნა – 25 ქულა;

„ბ“ სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია – 25 ქულა;

„გ“ წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარები – 20 ქულა;

„დ“ პროფესიული თვისებები – 15 ქულა;

„ე“ აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა – 10 ქულა;

„ვ“ პროფესიული აქტივობა – 5 ქულა.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

2.1. *„საბჭოს“ შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია:*

2.1.1. „კანდიდატი“ 38 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (მაგისტრი, სდასუ). სპეციალობით მუშაობს 10 წელია, კერძოდ:

- 2014 წლიდან, ადვოკატი - სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია;

- 2008-2012 წლები, თავმჯდომარე - დამოუკიდებელ სტუდენტთა ასოციაცია;

- 2008-2012 წლები, დამფუძნებელი - მოძრაობა „სოლიდარობა";

- 2008-2012 წლები, იურისტი - საადვოკატო ბიურო „map-legal";

- 2008-2014 წლები, თავმჯდომარე - ახალგაზრდა უფლებადამცველთა ასოციაცია;

- 2014 წელი, ადგილობრივ არჩევნებში რუსთავის მერობის კანდიდატი - პარტია სალომე ზურაბიშვილი - საქართველოს გზა;

- 2014-2015 წლები, იურისტი/უფლებადამცველი - ვეტერანთა სახელმწიფო სამსახური;

- 2014-2016 წლები, ხელმძღვანელი - law group;

- 2020 წლიდან, დირექტორი/ადვოკატი - ალექსანდრე კობაიძის საადვოკატო ბიურო;

- 2020 წლიდან, თავმჯდომარე - ხალხის პარტია.

2.1.2. „კანდიდატის" შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები და კითხვარები, რომლებშიც რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს „კანდიდატის" კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე. გამოარჩევენ კანდიდატის შრომისმოყვარეობას, კომპეტენტურობას, მიზანდასახულობას, ორატორულ უნარს, პუნქტუალურობას, გულისხმიერებას. რეკომენდატორი უთითებს კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებს: გადაწყვეტილების მიღებისათვის დიდი დროის დათმობას, ბრაზისა და ნეგატიური ემოციების დაფარვას, რაც რეკომენდატორს არ მიაჩნია მართებულად და ხელს უშლის სწორი კომუნიკაციის დამყარებაში. გამოკითხული რესპონდენტი „კანდიდატის" პირად თვისებებს იცნობს კარგად და პროფესიულ საქმიანობას იცნობს საშუალოდ. მისი აზრით, „კანდიდატი" აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპონდენტი „კანდიდატს" აფასებს კარგად, ზოგიერთ კომპონენტს ძალიან კარგად.

2.1.3. „კანდიდატის" შესახებ ინტერნეტ-სივრცეში ხელმისაწვდომია ინფორმაცია მის საადვოკატო და პოლიტიკურ საქმიანობასთან დაკავშირებით. მედიამ გააშუქა ცნობა კანდიდატის გენერალური პროკურორის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის, ომბუდსმენის, ანტიკორუფციული ბიუროს ხელმძღვანელის შესარჩევ კონკურსებში მონაწილეობის თაობაზე. ხელმისაწვდომია მისი საჯარო განცხადებები. კანდიდატი სარგებლობს სოციალური ქსელებით. იგი არის პოლიტიკური პარტია „ხალხის პარტია" დამფუძნებელი/წევრი. ასევე 2014 წელს იყო მერობის კანდიდატი პარტია სალომე ზურაბიშვილი - საქართველოს გზა.

2.1.4. „კანდიდატს“ სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება. აქვს მიმდინარე სესხები, დიდი რაოდენობით ვადაგადაცილებები და ჯარიმები. „კანდიდატის“ სახელზე რეგისტრირებულია უძრავი ქონება - აგარაკი მცხეთაში 600 კვ.მ. მამკოდა. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია არ არის შესაბამისობაში ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებულია, კერძოდ: დამოუკიდებელ სტუდენტთა ასოციაცია - დირექტორი; შპს „ალექსანდრე კობაიძის საადვოკატო ბიურო“ - დირექტორი; შპს ჯიემთივი ალექსანდრე კობაიძე - დირექტორი; ახალგაზრდა უფლება დამცველთა ასოციაცია; ა(ა)იპ კობაიძის საქველმოქმედო ფონდი - დირექტორი; შპს ლენდს.ჯი ალექსანდრე კობაიძე დირექტორი; მოძრაობა სოლიდარობა დამფუძნებელი; შპს იურიდიული ჯგუფი ემ-ეი-პი ლიგალი მამულაშვილი და პარტნიორები - ალექსანდრე კობაიძე მეწილე; შპს ჯიემთივი ალექსანდრე კობაიძე მეწილე; შპს ლენდს.ჯი ალექსანდრე კობაიძე მეწილე.

2.1.5. 2019 წლის დეკემბრიდან 2022 წლის დეკემბრის ჩათვლით, ალექსანდრე კობაიძეს უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის 31 ფაქტი. დაკისრებული სანქციები ვადაგადაცილებითაა გადახდილი საურავთან ერთად. სამი ჯარიმა გადაუხდელია.

2.1.6. საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში „კანდიდატი“ მხარედ მონაწილეობდა და მონაწილეობს 21 მიმდინარე და დასრულებულ საქმეში. იგი დაზარალებულად ცნობილი არ ყოფილა. „კანდიდატის“ მიმართ, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მონაცემებით, არ არსებობს შეფარდებული გაუქარწყლებელი სახდელი.

2.1.7. „კანდიდატმა“ წარმოადგინა მისი სტატია - „ნარკოტიკული დანაშაულის სისხლისსამართლებრივი დახასიათება“ და სადისერტაციო ნაშრომი - „მხარეთა მორიგების სამართლებრივი ბუნება სამოქალაქო სამართალწარმოებაში“.

2.1.8. „კანდიდატს“ მონაწილეობა აქვს მიღებული შემდეგ ღონისძიებებში: საერთაშორისო სტუდენტურ პროგრამებში და სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებში.

2.1.9. „კანდიდატს“ 2014 წელს ჩაბარებული აქვს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა.

2.1.10. „კანდიდატი“ ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

2.2. *კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია:*

2.2.1. „კანდიდატის“ საჯარო მოსმენის სრული ვიდეო-ჩანაწერი ყველასათვის ხელმისაწვდომია. მას „საბჭოს“ წევრებმა დაუსვეს როგორც ზოგადი, ისე, სამართლებრივი შეკითხვები, სამართლის სხვადასხვა დარგიდან.

2.2.2. „კანდიდატის“ პასუხები ძირითადად არ იყო თანმიმდევრული და არგუმენტირებული. ვერ გასცა პასუხი კითხვებზე: - სამართლებრივი სახელმწიფოს ცნების შესახებ, სამოსამართლო სამართლის შესახებ, ევროპულ სასამართლოში რა შემთხვევაში გადაეცემა საქმე დიდ პალატას, ვერ გაიხსენა სამართლის თეორიის მიხედვით სამართლის ნორმის განმარტების მეთოდი. დანარჩენ კითხვებზე მისი პასუხები იყო არასრული.

3. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

3.1. კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით ნებისმიერი კანდიდატის შეფასებისას, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ კანდიდატი არის კეთილსინდისიერი, ე.ი. - აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ოთხივე მახასიათებლის ((სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატისათვის) მოთხოვნებს (თუ წარმოდგენილი არ არის ამ პრეზუმფციის გამაქარწყლებელი, სანდო ინფორმაცია):

ა) „პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი“;

ბ) „დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა“;

გ) „პიროვნული და პროფესიული ქცევა“;

დ) „პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია“.

3.2. „კანდიდატის“ შესახებ დოკუმენტური, ასევე, მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზიდან გამომდინარე, მივიჩნიე, რომ:

3.2.1. „კანდიდატის“ შესახებ დოკუმენტური, ასევე, მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზიდან გამომდინარე, მივიღე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დასკვნა: „კანდიდატი“ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

3.2.2. „კანდიდატი“ არის პრინციპული, აქვს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი, თუმცა აქვე აღსანიშნავია რეკომენდატორის მითითება, რომ „კანდიდატი“ გადაწყვეტილების მიღებას დიდ დროს უთმობს. მივიჩნიე, რომ „კანდიდატი“ სრულად არ აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით

გათვალისწინებული (იმავე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული განმარტებებით) „დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის“ მახასიათებელს.

3.2.3. „კანდიდატი“ კორექტულია კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, არის თავდაჭერილი და აქვს საკუთარი ემოციების მართვის უნარი.

3.2.4. „კანდიდატის“ აქვს საქმიანი რეპუტაცია, ხოლო იურიდიულ წრეებში და საზოგადოებაში მისი ავტორიტეტის შესახებ ობიექტური ინფორმაცია ან არგუმენტირებული მოსაზრება ჩემთვის უცნობია.

3.2.5. კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ოთხივე მახასიათებელის შეფასების შედეგად მივიჩნევ, რომ კანდიდატი აკმაყოფილებს, აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

4. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

4.1. „კანდიდატის“ შესახებ დოკუმენტური, ასევე, მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზიდან გამომდინარე, მივიჩნიე, რომ:

4.1.1. კანდიდატს გააჩნია მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ცოდნა, თუმცა იყო ხარვეზები.

4.1.2. „კანდიდატს“ გააჩნია ანალიტიკური აზროვნების კარგი უნარი და სათანადო პროფესიული გამოცდილებაც.

4.1.3. „კანდიდატის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით დავადგინე, რომ „კანდიდატი“ წერილობით აზრს ნათლად და გასაგებად გადმოსცემს, „კანდიდატის“ მსჯელობა ძირითადად ლოგიკურია. ასევე, „კანდიდატი“ გამართულად მეტყველებს, აზრს ნათლად და გასაგებად გადმოსცემს. თუმცა აღსანიშნავია რეკომენდატორის მითითება, რომ „კანდიდატი“ ბრაზს და ნეგატიურ ემოციებს ფარავს, რაც რეკომენდატორის აზრით ხელს უშლის მას სწორი კომუნიკაციის დამყარებაში.

4.1.4. „პროფესიული თვისებების“ მახასიათებლით „კანდიდატის“ შეფასებისას დავეყრდენი რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს, ასევე, მის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას და აღნიშნულის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ „კანდიდატი“ არის შრომისმოყვარე და მიზანდასახული, მაგრამ არასაკმარისად პასუხისმგებლობიანი ადამიანია.

4.1.5. „კანდიდატს“ გააჩნია სიახლეების მიმართ ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, სათანადო ინტერესი ახალი ცოდნისა და უნარების შეძენაზე. მიმაჩნია, რომ „კანდიდატს“ შეუძლია საკუთარი ცოდნისა და პროფესიული უნარების რეალიზება.

4.1.6. „კანდიდატს“ წარმოდგენილი აქვს სტატია - „ნარკოტიკული დანაშაულის სისხლისსამართლებრივი დახასიათება“ და სადისერტაციო ნაშრომი - „მხარეთა მორიგების სამართლებრივი ბუნება სამოქალაქო სამართალწარმოებაში“, მიღებული აქვს მონაწილეობა საერთაშორისო სტუდენტურ პროგრამებში და სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებში.

თითოეულ მახასიათებელში მიღებული შეფასებიდან გამომდინარე, უზენაესი სასამართლოს მოსამართელეობის კანდიდატი ალექსანდრე კობაიძე კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით უნდა შეფასდეს 67 ქულით.

„ა“ სამართლის ნორმების ცოდნა – 13 ქულა;

„ბ“ სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია – 13 ქულა;

„გ“ წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარები – 15 ქულა;

„დ“ პროფესიული თვისებები – 13 ქულა;

„ე“ აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა – 9 ქულა;

„ვ“ პროფესიული აქტივობა – 4 ქულა.

ვასილ მშვენიერაძე